

ჩემი ქვეყნის ოქროყანავ, დიდი გარჯით მოწეულო,  
სიწითლისგან დაბრაწულო, კანდამსკდარო ბროწეულო,  
ნაცრისფერი ღრუბლის ძნებო, ფიჭვის ტევრში გარეულო,  
მეგობრებო, მეზობლებო, შინაურო, გარეულო,  
ცხენისწყალის ხეობაო, დადარულო, დასერილო,  
ხვავიანო პურის ყანავ, გლეხის ხელით დაწერილო,  
ხვამლის მთაზე გადასულო თეთრო ნისლო აფრიანო,  
შენი თეთრი ბაირადი სანამ უნდა აფრიალო=!

ერთო ქალო, თეთრო ქალო, ქალო ბაგეთაფლიანო,  
თავთავებით ოქროსფერად მოსირმულო მთავ ფრიალო,  
მთებო, მთებო, რუხო მთებო, ნისლების თავსაფრიანო,  
ზვარო, ზვარო ჯიშიანო, ოჯალემის ჯიშის ზვარო,  
ზვარო მტევნებგიშრიანო, გლეხი კაცის სანუკვარო,  
ფიჭვის ტყეო, ფიჭვის ტყეო, ნისლები რომ იტვირთეო,  
ნისლის ნამში განზანილო მთაო გულმკერდგადაშლილო,  
მთის გულ-მკერდში დამალულო ოქრო, ვერცხლო, ქვანახშირო,  
საქართველოს სიხარულო - ცხენისწყალო და ენგურო,  
და მამულის სიყვარულო, ხალხის გულში დანერგულო;  
მშობლიურო მინდორ-ველო, სიცოცხლეო საამურო,  
მწვერვალეზე ანამდერო მწყემსი ბიჭის სალამურო,  
მოსავალო, ჭირნახულო, დილის ცვარით დანამულო  
და ბულბულო ხმაწკრიალავ, ბუჩქნარებში განაბულო,  
თვითმფრინავო ცაში ლალო, მთებთან ახლო მოფრენილო,  
ქვევით ქვეყნის ედემ-ბალო, ია-ვარდით მოფენილო,  
კვახის ლერწო გაბარდულო, ჩაქარვულო ტაროებო,  
მიწის მკერდზე გაფანტულო ლელეებო, წყაროებო,  
შემოდგომავ შემოქმედო, შემოდგომავ მადიანო,  
მტერმა გნახოს, შემოგხედოს, გული დაუდარდიანო!  
ცხენისწყალის სანაპიროვ და ღამეო მთვარიანო,  
ამდენი ხნის დანაპირო - გოგონავ შავთვალთანო,  
აქოჩრილო რთხმელის ტყეო, ბარდებო და იელეებო,  
მეგობრებო, მეზობლებო, ახოვანო ჯეელებო,  
ბედნიერი ხალხის გარჯავ, გმირობის და ძმობის ყანავ,  
იძლიეროს მისმა მაჯამ, ვინც დაგთესა, მოგიყვანა!

ჭირნახულით დატვირთულო ბედლებო და ნალიებო,  
გამრჯელისთვის გატენილო, უქნარასთვის ცარიელო,  
ხეო, ვაშლით გაფერილო, ტალავერის ჩეროებო,  
სამხრეთისკენ გაფრენილო ყელმოღერა წეროებო,  
მეგობრებო, მეზობლებო, შინაურო, გარეულო,  
ნაცრისფერო ღრუბლის ძნებო, ფიჭვის ტევრში გარეულო,  
ვარდებო და ყვავილებო, ბარდებო და იელეებო,  
ახოვანო ვაჟკაცებო, უშიშარო ჯეელებო,  
კოლხელებო, ქართლელებო, კახელებო, მთიელებო, -

თქვენთვის მინდა ავამდგრო ლექსი ჩემი ახლებური,  
თქვენთვისა მაქვს გულის კარი სასიმდგროდ გაღებული,  
მინდა ლექსით გესაუბროთ, დაგირხიოთ ხმა საღხენო  
და ქართველი მგოსნის ჩანგი ამ სიმდგროთ ვასახელო!

**1936**